გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 68

2020 წლის 12 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ს/კ 66.45.26.380) პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის 19 თებერვალს შემოსულია მარიამ მაისურაძის (პ/ნ 59001001893) №3598 განცხადება. განცხადებით მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.45.26.263 12 კვ.მ-ის (გორში, ჭავჭავაძის ქუჩის №10-ის მიმდებარედ) იჯარის ფორმით გადაცემა, მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის განსათავსებლად.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტ-ეკონომიქსის" მიერ 2020 წლის 13 მაისს წარმოდგენილი „აუდიტორული დასკვნა, უძრავი ქონების შეფასების ანგარიშით" მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.26.380 (ნაკვეთის წინა ნომერი 66.45.26.263) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 1 850 (ერთი ათას რვაასორმოცდაათი) ლარი.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს;

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.26.380

(ნაკვეთის წინა ნომერი 66.45.26.263) ფართობით 37,00 კვ.მ. აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.26.380 (ნაკვეთის წინა ნომერი 66.45.26.263) ფართობით 37,00 კვ.მ. მდებარე გორში, ჭავჭავაძის ქუჩის №10-ის მიმდებარედ, გაცემული იქნეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 5 (ხუთი) წლის ვადით, მსუბუქი კონსტრუქციის - თანამედროვე ტიპის სწრაფი კვების ობიექტის განსათავსებლად.
2. მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.26.380 (ნაკვეთის წინა ნომერი 66.45.26.263) ფართობით 37,00 კვ.მ. საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 1 850 (ერთი ათას რვაასორმოცდაათი) ლარით.
3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1 800 (ერთი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.
4. აუქციონის პირობებად განისაზღვროს შემდეგი:

ა) მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის დამონტაჟება მოხდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურთან შეთანხმებით.

ბ) მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.

5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე